

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

2015 წლის ანგარიში

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) თავის საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2015 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

განხორციელდა სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის, შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საგანმანათლებლო პროგრამების შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი.

განხორციელდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი.

გადამოწმდა საბიბლიოთეკო ფონდის და სასწავლო კურსების სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის შესაბამისობა.

გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა.

ჩატარდა სტუდენტების ინტერვიუება სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის, ბიბლიოთეკაში არსებული გარემოს და რესურსების და სხვ. კვლევის მიზნით.

გაიმართა შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან მათი საქმიანობის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის კუთხით.

გაკეთდა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლების, სწავლების შემდეგ საფეხურზე ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა მაჩვენებლების ანალიზი.

ჩატარებული შემოწმებების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის და სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინტერვიუების შედეგების საფუძველზე, მთელ რიგ სასწავლო კურსებში შეიცვალა შუალედური გამოცდების რაოდენობა; დაიხვეწა სტუდენტთა შეფასების მეთოდები. განახლდა ლიტერატურა.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი აქტივობის ანალიზის დროს შეფასდა აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ გამოცემული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომები, კონფერენციებში მონაწილეობა, ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში. იხვეწება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და კონფერენციაში “საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების სისტემა-გამოწვევები და პერსპექტივები”.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა (საბაკალავრო (7), ერთსაფეხურიანი (2), სამაგისტრო (6), სადოქტორო (3)) საგანმანათლებლო პროგრამების 2015 წლის აკრედიტაციის თვითშეფასების ყოველწლიური ანგარიშები;

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად მომზადდა უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიში.

2015 წელს უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში გამოცხადებულ მობილობის პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო უნივერსიტეტში მობილობის მსურველთა სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურებში.

2015 წელს სააკრედიტაციოდ მომზადდა და წარედგინა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) შემდეგი სარეზიდენტო პროგრამები:

- ✓ სარეზიდენტო პროგრამა „თერაპიული სტომატოლოგია“
- ✓ სარეზიდენტო პროგრამა „ორთოპედიული სტომატოლოგია“
- ✓ სარეზიდენტო პროგრამა „ორთოდონტია“

2015 წლის განმავლობაში განახლდა/განვითარდა ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და სასწავლო მასალები; განახლდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; განხორციელდა სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პროექტები; სტუდენტები ჩართულნი იყვნენ თემატური დებატების, სემინარების, დისკუსიების, ტოქ-შოუების ორგანიზებაში.

განახლდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემა.

ჩატარდა სტუდენტთა XXIII სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალები გამოიცა ბროშურის სახით.

ადმინისტრაცია და სტუდენტური თვითმმართველობა ჩართული იყო თემატური სემინარების (ბავშვთა დაცვის, „საქართველო თამბაქოს გარეშე“, ტუბერკულოზის, ასთმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით და სხვა) ორგანიზებაში.

TEMPUS-ის საგრანტო პროექტის “ბიოლოგიისა და მედიცინის დარგებისთვის მულტიდისციპლინარული ინოვაციური ცენტრების შექმნა ვირტუალური ლაბორატორიების განვითარებისათვის (EMICVL)” ფარგლებში უნივერსიტეტმა უმასპინძლა პროექტში ჩართული უნივერსიტეტების წარმომადგენლებს.

მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვის მიზნით ჩატარდა აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურს(ებ)ი.

წლის განმავლობაში სტუდენტების მხარდასაჭერად პერიოდულად ცხადდებოდა უნივერსიტეტის ქართულ-ინგლისურ სტომატოლოგიურ კლინიკაში სხვადასხვა აქცია, რომლის ფარგლებშიც კლინიკის პერსონალი ფასდაკლებით ემსახურებოდა სტუდენტებს.

2015 წელს მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკს, მრავალპროფილიან ტურისტულ კომპანია „აღმოაჩინე საქართველოს“-ს, შპს „ახალ ქართულ კაპიტალს“ და სხვ. შორის

უნივერსიტეტში მთელი წლის განმავლობაში ეწყობოდა შეხვერები საზოგადოების წარმომადგენლებთან (კულტურის, ხელოვნების, სპორტის მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან და სხვა), ტარდებოდა საჯარო ლექციები. სტუდენტების მონაწილეობით იმართებოდა ინტელექტუალური თამაშები, პოეზიის საღამოები. სტუდენტები მონაწილეობდნენ სპორტულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში.

უნივერსიტეტის დაფინანსებით პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ სოციალური მნიშვნელობის, გამწვანების და დასუფთავების აქციებში. ბავშვთა და მზრუნველობამოკლებულთა სახლებში აწყობდნენ სხვადასხვა ღონისძიებებს.

უნივერსიტეტი წლის განმავლობაში ჩართული იყო სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში („ჩვენ გვახსოვს“; „ნუ შეზღუდავ ჩვენს შესაძლებლობას“ და სხვ.)

ჩატარდა კომინალისტიკის სასერტიფიკატო კურსები, იმიტირებული სასამართლო პროცესები.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით გაიმართა საახალწლო კარნავალი.

წლის განმავლობაში ტარდებოდა უნივერსიტეტის პოპულარიზაციაზე მიმართული აქციები.